

დემენციის შესახებ

(მოკლე სახელმძღვანელო მზრუნველებისათვის)

რა არის დემენცია ?

დემენცია არის მდგომარეობა, რომელიც დროთა განმავლობაში პროგრესულად აზიანებს თავის ტვინს. დემენცია არ წარმოადგენს დაბერების ნორმალურ თანმდევ მოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ ის უფრო ხშირად ხანდაზმულ ადამიანებში გვხვდება, დემენცია შეიძლება შედარებით ახალგაზრდა ასაკშიც გამოვლინდეს.

რა იწვევს დემენციას?

დემენცია გამოწვეულია სხვადასხვა დაავადებითა და მდგომარეობით, რომლებიც აზიანებენ ნერვულ უჯრედებს თავის ტვინში. ასეთი დაავადებებია:

1. ალცჰაიმერის დაავადება

ალცჰაიმერის დაავადება დემენციის ყველაზე გავრცელებული მიზეზია. ის აზიანებს თავის ტვინის უჯრედებსა და ნერვულ კავშირებს, რის შედეგადაც ირღვევა ტვინში არსებული გადამტანი სისტემების (ნეიროტრანსმიტერების) ფუნქციონირება. განსაკუთრებით ზიანდება ის მექანიზმები, რომლებიც პასუხისმგებელია ახალი ინფორმაციის დამახსოვრებასა და მეხსიერების შენარჩუნებაზე.

2. ვასკულარული დემენცია

ვასკულარული დემენცია ვითარდება მაშინ, როდესაც ზიანდება სისხლძარღვები და თავის ტვინს საკმარისი რაოდენობით ჟანგბადი აღარ მიეწოდება. ამის შედეგად კი ტვინის უჯრედები კვდება.

ვასკულარული დემენციის სიმპტომები შეიძლება უეცრად გამოვლინდეს ინსულტის შემდეგ ან თანდათან განვითარდეს მცირე ზომის, განმეორებითი ინსულტების შედეგად. ვასკულარული დემენცია დემენციის გამომწვევი მიზეზების დაახლოებით 20–30%-ს შეადგენს.

3. ფრონტოტემპორალური დემენცია

ფრონტოტემპორალური დემენციის დროს დაზიანება ძირითადად თავის ტვინის შუბლის (ფრონტალურ) ნაწილში ვითარდება. დაავადების საწყის ეტაპზე უფრო

მეტად იცვლება პიროვნული მახასიათებლები და ქცევა, ვიდრე მეხსიერება, ამიტომ მეხსიერების სირთულეები შესაძლოა თავიდან ნაკლებად შესამჩნევი იყოს, ხოლო ქცევითი და ემოციური ცვლილებები უფრო მკვეთრად გამოვლინდეს.

4. დემენციის შედარებით იშვიათი მიზეზები

დემენციის გამომწვევი სხვა იშვიათი მიზეზებიც არსებობს, მათ შორის: ალკოჰოლის ხანგრძლივ და ჭარბ მოხმარებასთან დაკავშირებული დემენცია; დემენცია, რომელიც გამოწვეულია აივ ინფექციით.

ამ მიზეზებით გამოწვეული დემენცია შედარებით იშვიათია, თუმცა მათაც შეუძლიათ თავის ტვინის ფუნქციების მნიშვნელოვანი დაზიანება და კოგნიტური შესაძლებლობების დაქვეითება.

დემენციის პროგრესირება

თითოეული ადამიანი უნიკალურია, შესაბამისად, დემენციის გავლენა თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ორი ადამიანი ზუსტად ერთნაირი სირთულეებითა და სიმპტომებით არ არსებობს. დემენციის გავლენას მხოლოდ თავის ტვინის დაზიანების ხარისხი არ განსაზღვრავს. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე ადამიანის პიროვნება და ხასიათი, ცხოვრებისეული გამოცდილება, ზოგადი ფიზიკური ჯანმრთელობა, ყოველდღიური ფუნქციონირების დონე, საცხოვრებელი და სოციალური გარემო.

დემენციის სტადიები

დემენციის სიმპტომები შეიძლება იწყებოდეს მეხსიერების უმნიშვნელო დაქვეითებით. მომდევნო ეტაპებზე კი ვლინდებოდეს მეხსიერებისა და აზროვნების ისეთი მძიმე სირთულეები, რომლებიც ადამიანის დამოუკიდებლობას ყოველდღიურ საქმიანობებში სრულიად ზღუდავს.

დაავადების უკეთ გასაგებად დემენციის სტადიებად განხილვა შეიძლება სასარგებლო იყოს, თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ დემენციის პროგრესირების ზოგად წარმოდგენას გვაძლევს. დემენციის მქონე ყველა ადამიანს არ აღენიშნება ყველა სიმპტომი და ზოგიერთი სიმპტომი შეიძლება მხოლოდ დაავადების გარკვეულ სტადიაზე გამოვლინდეს.

დაავადების ადრეულ სტადიაზე დემენციის მქონე პირებს შეიძლება ჰქონდეთ მეხსიერების სირთულეები, უჭირდეთ დროში ორიენტაცია, იკარგებოდნენ ნაცნობ ადგილებში და ვეღარ ახერხებდნენ გადაწყვეტილების მიღებას.

შუა სტადიაზე ადამიანი შეიძლება გახდეს ძალიან გულმავიწყი და დასჭირდეს დახმარება ყოველდღიური საქმიანობების შესრულებაში, როგორცაა საყიდლებზე წასვლა, ჩაცმა და დაბანა.

გვიან სტადიაზე დემენციის მქონე პირებმა შესაძლოა ვეღარ ამოიცნონ ნათესავები ან მეგობრები. ასევე, შეიძლება გამოვლინდეს ქცევითი ცვლილებები, რომლებიც რთული და შემაწუხებელი იყოს როგორც თავად დემენციის მქონე პირისთვის, ასევე, მის გარშემო მყოფი ადამიანებისთვის.

რა უნდა გააკეთოთ, თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ოჯახის წევრს დემენცია აქვს?

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ოჯახის წევრს ან მეგობარს შესაძლოა დემენცია ჰქონდეს, პირველი ნაბიჯია, დაგეგმოთ ვიზიტი სპეციალისტთან - ნევროლოგთან ან ნეიროფსიქოლოგთან. ექიმი შეაფასებს მის ფიზიკურ მდგომარეობასა და თავის ტვინის ფუნქციონირებას.

მნიშვნელოვანია, გამოირიცხოს, ხომ არ არის მეხსიერების სირთულეები გამოწვეული მკურნალობას დაქვემდებარებული სხვა მდგომარეობებით, როგორცაა დეპრესია, საშარდე გზების ინფექცია, მედიკამენტების გვერდითი ეფექტები, ვიტამინების დეფიციტი ან თავის ტვინის სიმსივნე.

მზრუნველობა

როგორ შეიძლება შეიცვალოს თქვენი, როგორც მზრუნველის, როლი დროთა განმავლობაში?

შეიძლება იგრძნოთ, რომ თქვენი როლი იცვლება. დემენციის ადრეულ სტადიაზე შეიძლება ოჯახის წევრთან ერთად კვლავ ერთვებოდეთ სხვადასხვა აქტივობაში და იღებდეთ სიამოვნებას. დემენციის პროგრესირებასთან ერთად კი ადამიანს ყოველდღიური საქმიანობების შესრულება უფრო მეტად გაუჭირდება. ეს მზრუნველისგან მეტ დახმარებას მოითხოვს ყოველდღიურად, მაგალითად, მედიკამენტების მიღებისა და ექიმთან ვიზიტის დაგეგმვით.

დემენციის შუა და გვიან სტადიებზე მზრუნველს შესაძლოა კიდევ უფრო მეტი ზრუნვა დასჭირდეს დემენციის მქონე პირზე. ეს შეიძლება აერთიანებდეს ისეთ ყოველდღიურ აქტივობებს, როგორიცაა ბანაობა, ტუალეტით სარგებლობა და ჩაცმა. ზოგიერთი პასუხისმგებლობა შეიძლება მზრუნველისთვის რთული შესასრულებელი იყოს და სტრესის გამომწვევი გახდეს.

როგორ შეინარჩუნოთ კავშირი დემენციის მქონე პირთან?

მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთთან საუბარი განაგრძოთ. რაც უფრო ადრე დაიწყებთ დემენციისა და მისი გავლენის შესახებ საუბარს, მით უფრო კარგი შედეგი ექნება, როგორც თქვენთვის, ასევე დემენციის მქონე პირისთვის. დროთა განმავლობაში დემენცია ამგვარ საუბრებს უფრო გაართულებს. ისაუბრეთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც ახლა ხდება და იმაზეც, რაც შესაძლოა მომავალში მოხდეს.

როგორ დაგეგმოთ სასიამოვნო აქტივობები და დასვენება?

დროთა განმავლობაში, დაავადების პროგრესირებასთან ერთად, ზრუნვა შესაძლოა უფრო მეტ დროს მოითხოვდეს. ზოგჯერ მზრუნველები საკუთარ თავს საკმარის დროს არ უთმობენ. ძალიან მნიშვნელოვანია, შეძლებისდაგვარად იზრუნოთ საკუთარ თავზეც, რადგან დაგროვებული სტრესი უფრო ართულებს სიტუაციასთან გამკლავებას. თქვენთვის სასიამოვნო აქტივობებისა და დასვენების დაგეგმვაც ზრუნვის განუყოფელი ნაწილია. შეეცადეთ მოითხოვოთ დახმარება ახლობლებისგან მაშინ, როცა იგრძნობთ ამის საჭიროებას. საწყისი სტადიებიდანვე შეეცადეთ, შეძლებისდაგვარად განაგრძოთ ან აღმოაჩინოთ ის აქტივობები, რაც გამშვიდებთ და გეხმარებათ სტრესის შემცირებაში.

როგორ გავაუმჯობესოთ კომუნიკაცია?

დემენცია ხშირად ართულებს კომუნიკაციას. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს ურთიერთობაზე იმ ადამიანთან, რომელზეც ზრუნავთ. ზოგჯერ ეს შეიძლება გახდეს როგორც მისი, ისე თქვენი იმედგაცრუების, სევდის ან გაბრაზების მიზეზი.

როდესაც ამყარებთ ურთიერთობას იმ ადამიანთან, რომელზეც ზრუნავთ, მაგალითად, ესაუბრებით მას ან ეხუტებით, დარწმუნდით, რომ მას სწორად ესმის თქვენი ქმედების მნიშვნელობა.

გამოხატეთ თანაგრძნობა მოსმენით, სერიოზულად მოეკიდეთ იმ ადამიანს, რომელზეც ზრუნავთ, მოეპყარით მას პატივისცემითა და ღირსების დაცვით, გამოავლინეთ ინტერესი მის მიმართ ან გაუღიმეთ და ჩაეხუტეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ადამიანისთვის, მათ შორის დემენციის მქონე პირებისთვისაც. არ დაგავიწყდეთ, რომ სიტყვების დავიწყების მიუხედავად, ემოციის აღქმა არასდროს ავიწყდებათ.

როგორ შევაფასოთ ადამიანის სმენისა და მხედველობის უნარი?

ნებისმიერი სახის კომუნიკაციისთვის - საუბრისთვის, შეხებისა თუ ჟესტების გამოყენებისთვის - მნიშვნელოვანია ისეთი საბაზისო უნარები, როგორიცაა სმენა და მხედველობა. სამწუხაროდ, დემენციამ შესაძლოა დააქვეითოს ადამიანის სმენისა და მხედველობის უნარი, ამიტომ მნიშვნელოვანია შეამოწმოთ, შესაძლებელია თუ არა ადამიანის სმენისა და მხედველობის გაუმჯობესება მის გარემოში გარკვეული ცვლილებების შეტანით ან შესაბამისი სამედიცინო შემოწმებების დაგეგმვით.

ზოგადი რეკომენდაციები კომუნიკაციისა და დამოუკიდებლობის გაუმჯობესებისთვის:

- ზოგადად, დემენციის მქონე პირებს მკაფიოდ დასანახად მეტი განათება სჭირდებათ. შეძლებისდაგვარად გაზარდეთ განათების დონე და გამოიყენეთ ბუნებრივი დღის სინათლე. ეს დაეხმარება დემენციის მქონე პირს უკეთ დანახვაში.
- ასევე, შეგიძლიათ იფიქროთ ღამით განათების დატოვებაზე, რათა ადამიანმა ადვილად იპოვოს აბაზანა ან ტუალეტი.
- დემენციამ შეიძლება გაართულოს კონტრასტების აღქმა, მაგალითად, თუ თეთრი თევში თეთრ მაგიდაზე დევს, დემენციის მქონე პირს შეიძლება გაუჭირდეს თევშის დანახვა. ამ შემთხვევაში შეიძლება სასარგებლო იყოს ფერადი თევშის ან სუფრის გამოყენება.
- ხშირად კარგავს ან ვერ პოულობს დემენციის მქონე პირი სათვალეს? წახალისეთ, რომ სათვალე ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას დადოს. ეს შეამცირებს მის გაღიზიანებასა და იმედგაცრუებას, რაც სათვალის ძებნას შეიძლება უკავშირდებოდეს. ზოგ შემთხვევაში სასარგებლოა სათვალისთვის კისერზე ჩამოსაკიდებელი თასმის გამოყენებაც.

- თუ დემენციის მქონე პირი ატარებს სათვალეს, შეამოწმეთ, არის თუ არა ის სწორი ზომა და კვლავ კომფორტულია თუ არა მისი ტარება. ხომ არ აწუხებს სათვალე ყურების ან ცხვირის მიდამოში?
- ფონური ხმაურის შემცირება სმენის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. შესაძლოა სასარგებლო იყოს დემენციის მქონე პირის უფრო მშვიდ გარემოში გადაყვანა, სადაც ნაკლები გამღიზიანებელი ფაქტორია. როდესაც მასთან კომუნიკაციას ცდილობთ, გამორთეთ ტელევიზორი ან რადიო.
- დემენციის მქონე პირს შეიძლება დაავიწყდეს სასმენი აპარატის ტარება ან დასჭირდეს დახმარება მისი სწორად გამოყენებისთვის.
- თუ დემენციის მქონე პირი ატარებს სასმენ აპარატს, შეამოწმეთ, კვლავ შეესაბამება თუ არა მისი დანიშნულება სმენის მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართეთ ექიმს.

როგორ დავამყაროთ კომუნიკაცია?

ხშირად კომუნიკაციის დროს ჩვენ ზედმეტად რთულ ენას ვიყენებთ. მარტივი და გასაგები ფორმით საუბარი დაეხმარება იმ ადამიანს, რომელზეც ზრუნავთ, უკეთ გაიგოს თქვენი ნათქვამი.

რეკომენდაციები კომუნიკაციისთვის:

- დემენციის მქონე პირს ერთდროულად მხოლოდ ერთი რამ ჰკითხეთ ან უთხარი.
- გამოიყენეთ მარტივი სიტყვები და მოკლე წინადადებები. მოერიდეთ გრძელ და რთულ წინადადებებს. ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ თემაზე ისაუბრეთ.
- საჭიროების შემთხვევაში, ღია კითხვების ნაცვლად გამოიყენეთ დახურული კითხვები, რომლებზეც პასუხი შეიძლება იყოს „კი“ ან „არა“.
- დარწმუნდით, რომ არ არსებობს ყურადღების გამფანტავი ფონური ხმაური, როგორცაა ტელევიზორი ან რადიო.
- იყავით მომთმენები და მიეცით თქვენი ოჯახის წევრს დრო, რათა იპოვოს სწორი სიტყვები.
- აუცილებლად მოეპყარით დემენციის მქონე პირს პატივისცემით და ღირსების დაცვით. არ დაგავიწყდეთ ასაკისთვის შესაბამისი კომუნიკაცია.
- კარგად დააკვირდით სახის გამომეტყველებასა და სხეულის ენას. არავერბალური ნიშანი შეიძლება მნიშვნელოვანი მიმანიშნებელი იყოს, მაგალითად, გამოხატავდეს შფოთვას, ნერვიულობას ან კმაყოფილებასა და მადლიერებას.

- კომპლიმენტების თქმა დემენციის მქონე პირის დადებით ემოციებს იწვევს.

მნიშვნელოვანია, გამოავლინოთ თანაგრძნობა, მაშინაც კი, თუ დემენციის მქონე პირი ერთსა და იმავე კითხვას ბევრჯერ იმეორებს ან თუკი ერთმანეთის გაგება სულ უფრო რთული ხდება. უნდა გახსოვდეთ, რომ დემენცია არის მდგომარეობა, რომელიც კომუნიკაციას ართულებს. მაგალითად, დემენციის მქონე ადამიანს შეიძლება დაავიწყდეს, რა თქვა რამდენიმე წუთის წინ, ამიტომ სასურველია მეტი ძალისხმევის გამოჩენა და მოთმინება იმ ადამიანის მიმართ, რომელზეც ზრუნავთ.

როგორ ვაგრძნობინოთ ადამიანს თავი მნიშვნელოვნად?

შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე ვეღარ გაიგოთ, რის თქმას ცდილობს დემენციის მქონე პირი. მის მიერ გამოყენებული სიტყვები ან საუბრის ფორმა შეიძლება უცნაური ან სასაცილოც კი მოგეჩვენოთ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დემენციის მქონე პირი სერიოზულად აღიქვას.

ადამიანი, რომელზეც ზრუნავთ, ცდილობს ამბის გაზიარებას, მიუხედავად იმისა, რომ დემენციის გამო მისი კომუნიკაციის უნარები შესაძლოა დაქვეითებული იყოს. ამ სირთულეების მიუხედავად, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ თქვენი ოჯახის წევრს მოეპყროთ პატივისცემითა და ღირსების დაცვით. ნუ ისაუბრებთ დემენციის მქონე პირზე მისი თანდასწრებით ისე, თითქოს ის იქ არ იყოს.

კომუნიკაციის დროს დაგეხმარებათ, თუ გამოიჩენთ მოთმინებას და მისცემთ საკმარის დროს შესაბამისი სიტყვების მოსაძებნად. თუ მაინც გიჭირთ დემენციის მქონე პირის გაგება, შეიძლება სასარგებლო იყოს დახურული კითხვების დასმა, ისე რომ პასუხი იყოს “კი” ან “არა”, რათა მარტივად შეძლოს თავისი აზრის გამოხატვა.

როგორ მივაქციოთ ყურადღება რეაქციებს?

ადამიანის საუბრის მანერიდან და გარეგნული ნიშნებიდან ბევრი რამის გაგებაა შესაძლებელი. მაგალითად, თუ ადამიანი იღიმის, შეგიძლიათ ივარაუდოთ, რომ ის კარგ განწყობაზეა. ასევე, შეიძლება შენიშნოთ მოუსვენრობა, ხელების გადაჯვარედინება ან წინ და უკან სიარული. მსგავსი ნიშნები შეიძლება მიუთითებდეს, რომ დემენციის მქონე პირი ნერვიულობს ან შფოთავს.

ამაზე ყურადღების გამახვილება დაგეხმარებათ უკეთესი კომუნიკაცია გქონდეთ იმ ადამიანთან, რომელზეც ზრუნავთ.

რატომ არის საჭირო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერა?

დემენციის მქონე პირის მხარდაჭერა გადაწყვეტილებების მიღებისას ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ყველა სხვა ადამიანს, დემენციის მქონე პირებსაც აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ყველა იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც მათ ცხოვრებასა და კეთილდღეობას ეხება, თუმცა დემენციის პროგრესირებასთან ერთად, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება შეიძლება გართულდეს.

ზოგჯერ მსგავს სიტუაციაში ოჯახის წევრები და ახლობლები საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას, მიიღონ გადაწყვეტილებები, ნაცვლად იმისა, რომ დაეხმარონ დემენციის მქონე პირს ამ პროცესში.

როგორ მივიღოთ გადაწყვეტილებები ადამიანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით?

ყველას ადამიანს უწევს გადაწყვეტილებების მიღება, იქნება ეს დიდი თუ მცირე გადაწყვეტილება. რადგან ადამიანს, რომელზეც ზრუნავთ, დემენცია აქვს, მას შეიძლება დასჭირდეს თქვენი მხარდაჭერა, რათა უკეთ გაარკვიოს, რა სურს. გადაწყვეტილებები, რომლებიც შეესაბამება იმ ადამიანის ინტერესებს, საჭიროებებსა და სურვილებს, რომელზეც ზრუნავთ, ხელს უწყობს მის დამოუკიდებლობას.

მნიშვნელოვანია, წახალისოთ დემენციის მქონე პირი, რომ გააგრძელოს იმ საქმიანობების შესრულება, რაც ჯერ კიდევ შეუძლია. გადაწყვეტილებების მიღებისას მხარდაჭერა დაეხმარება მას, რომ უფრო დამოუკიდებელი იყოს. ამ პროცესში მხარდაჭერის გაწევამ შეიძლება ხელი შეუწყოს მისი თვითშეფასებისა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაძლიერებას.

პროცესის გამარტივებაში შეიძლება დაგეხმაროთ არჩევანის შეთავაზება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შევთავაზოთ მხოლოდ რამდენიმე ვარიანტი და თვითონ დემენციის მქონე პირმა მიიღოს გადაწყვეტილება. ასევე, სასარგებლო შეიძლება იყოს სიტუაციის განხილვა სხვა დროს, როდესაც ადამიანი უკეთეს განწყობაზეა ან ნაკლებად ღელავს.

ოჯახის წევრებისა და მეგობრების ჩართულობის მნიშვნელობა

შესაძლოა, რთული იყოს დემენციის მქონე პირზე ზრუნვის პროცესში სხვების ჩართულობა. შეიძლება ფიქრობდეთ, რომ ისინი ვერ შეძლებენ ზრუნვას ისე კარგად, როგორც თქვენ, რომ დრო არ აქვთ ან დახმარების თხოვნის შემთხვევაში უარს გეტყვიან.

დროთა განმავლობაში, ადამიანს, რომელზეც ზრუნავთ, ყოველდღიური საქმიანობების შესრულებაში სულ უფრო მეტი მხარდაჭერა დასჭირდება. ამიტომ

მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ჩართვა, რათა პასუხისმგებლობები გადანაწილდეს. ასევე, სასარგებლოა გყავდეთ ადამიანი, ვისთანაც შეძლებთ საუბარს და რომელიც გაიგებს თქვენს მდგომარეობასა და გრძნობებს.

ნუ გაწელავთ დიდხანს დახმარების თხოვნას, რადგან ადრეულ ეტაპზე მიღებული მხარდაჭერა დაგეხმარებათ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლოთ ოჯახის წევრზე ან ახლობელ ადამიანზე ზრუნვის გაგრძელება.

გახსოვდეთ, რომ ზრუნვასთან დაკავშირებული მოვალეობების განაწილება ჩვეულებრივი და მისაღები პრაქტიკაა. ამან შეიძლება მოგცეთ შესაძლებლობა, დრო დაუთმოთ თქვენთვის სასიამოვნო საქმიანობას, მოაგვაროთ საკუთარი საქმეები ან უბრალოდ მიიღოთ დამსახურებული დასვენება.

გამოყენებული ლიტერატურა

World Health Organization. (2019). *iSupport for dementia: Training and support manual for carers of people with dementia*.

<https://www.who.int/publications/i/item/9789241515863>

ნათარგმნია სახელმძღვანელოს I და II მოდულები - თამარ წულუკიძე (მეხსიერების კაფე)

პროექტი ხორციელდება სახელმწიფო გრანტის ფარგლებში სსიპ - სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს მხარდაჭერით. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. სსიპ – სახელმწიფო გრანტის სააგენტო შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ მოსაზრებებსა და ხედვებს.



**სსიპ სახელმწიფო გრანტის
მართვის სააგენტო**